N 21 09/02/2017

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 2

დ. ჩოხატაური *31 იანვარი, 2017 წელი*

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

ვლადიმერ სიხარულიძე, გოჩა სეხნიაშვილი, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, რამაზი უჯმაჯურიძე, ოთარი სოროზანიშვილი, თემურ ხუხუნაიშვილი, დათო ვაჩეიშვილი, ალეკო კვინტრაძე, მარინე ბერაძე, ზვიადი მამალაძე, მაია პაიჭაძე, ირაკლი ახობაძე, მანანა მინდაძე, მამია ბარამიძე, დიმიტრი კორიფაძე, კლოდი მდინარაძე.

არ ესწრებოდნენ: ქეთევან სიხარულიძე, გიორგი რამიშვილი, ერეკლე უღრელიძე, უშანგი ართმელაძე, ალექსანდრე შარაშიძე,მალხაზ ჩხიკვაძე, დავით გუდავაძე,დავით ტრაპაიძე, გოჩა თოდრია, კობა კალანდაძე, დავით შარაშიძე, მაია გიორგაძე, გია გვენეტაძე, შალვა ჩანტლაძე,მამია ბარამიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), გოდერძი გოგიშვილი, რომანი ჯულაყიძე, არჩილ სიხარულიძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის გამგეობიდან:

მაია გოგოლაძე- გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი.

გოგი ბოლქვაძე- არქიტექტურისა და სივრცით მოწყობის სამსახურის უფროსი.

ვალერი ყაჭეიშვილი- ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი.

ლელა მდინარაძე- ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის პრივატიზების განყოფილების უფროსი.

სხდომას ესწრებოდა გაზეთ ,,გურია ნიუსის“ კორესპონდენტი- **ნატო გოგელია.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ.
2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერბლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 30 ოქტომბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.
5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
7. ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.
8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

10. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2016 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხარულიძემ, მარინე ბერაძემ,

ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს აწესრიგებს საბიუჯეტო კოდექსი. 1 მარტამდე უნდა შემოვიდეს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. ამიტომ, ჯერ ამ ინფორმაციის მიღება არასრულყოფილი იქნება და დროის ზედმეტად ხარჯვა. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, დოკუმენტს უნდა ახლდეს შემოსავლები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილების სხვაობა და მერე 1 თვის შემდეგ უნდა განვიხილოთ ისევ ეს საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 20

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 20 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერბლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 30 ოქტომბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

6.“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

7. ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გოგი ბოლქვაძე

8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: გოგი ბოლქვაძე

9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

10. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2016 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

I საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხარულიძემ, აკაკი ყაჭეიშვილმა, მანანა მინდაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ.

II საკითხი: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერბლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერბლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით ტყეშელიაძემ, აკაკი ყაჭეიშვილმა, ვლადიმრე სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი)

მიღებულია დადგენილება: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერბლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

III საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 30 ოქტომბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 30 ოქტომბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: ვლადიმერ სიხარულიძემ, მაია პაიჭაძემ, ალეკო კვინტრაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 30 ოქტომბრის N46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

IV საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: დათო ვაჩეიშვილმა, დიმიტრი კორიფაძემ, კლოდი მდინარაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

V საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> **ირაკლი ახობაძემ** იკითხა, რომ რამდენია თავისუფალი ნაშთი?

მაია გოგოლაძემ უპასუხა: 125,0 ათასი ლარი იყო თავისუფალი. ნაშთი ყველა მიმართული გვაქვს. თავისუფალი არ არის. ვმუშაობთ ამ საკითხზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის IX თავის, 59-ე მუხლის ,,გ“ პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარემ გაფრთხილება მისცა ოქმში შეტანით- გაზეთ ,,გურია ნიუსის“ კორესპოდენტს- ნატო გოგელიას.

VI საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u>

ზვიად მამალაძემ აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომაზეც დავსვით ეს საკითხი და ახლაც აღვნიშნავ, რომ მე, როგორც ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, ამ ფორმით პროექტს მხარს ვერ დავუჭერ და ვთხოვ საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც იმუშავებს იმუშავებს ამ კუთხით და ინფორმაციას მოაწვდის საკრებულოს.

ზაალ მამალაძე- ბიუროს სხდომაზე ვისაუბრეთ ამ საკითხზე. ჩვენი წინადადება არის ასეთი, რომ შეიქმნას ჯგუფი, რომელშიც იქნება მამა თომა (სიხარულიძე), ბუღალტერი ეპარქიიდან, ასევე იქნება სამრევლო სკოლის დირექციიდან წარმომადგენელი, ჩვენი მხრიდან იქნება საფინანსო და სოციალური სამსახურის უფროსები, ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე და კიდევ ვისაც სურვილი გაქვთ, მოგვახსენეთ.

მნიშვნელოვანია, რომ ცვლილების დამტკიცებამდე მომზადებული იყოს ყველა მხარე და შესაბამისი დოკუმენტაციაც იყოს მოპოვებული. ეს იქნება ყველაზე ალტერნატიული ვარიანტი და ამ საკითხის ასე დაყენება გამოწვეულია მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სარეკომენდაციო ჯგუფის შექმნა ამ დროისთვის საკმაოდ საკმარისია, რომ დამატებით შეკითხვები არ გაჩნდეს შემდეგ ამ

საკითხთან დაკავშირებით.

ირაკლი ახობაძე- ჩვენ ბიუჯეტში როცა თანხას ვდებთ, ე.ი. საჭიროებიდანაა გამომდინარე და თუ ვაკლებთ თანხას, ესეც საჭიროებიდან გამომდინარეობს. გამოდის, რომ ეს 20, 0 ათასი ლარი არ ჭირდებოდა და ამოვიღეთ. ჩვენ უნდა დავაზუსტოთ, ამ შემთხვევაში როგორაა?

ის, რაზეც ახლა ჩვენ ვმსჯელობთ, ეს ყველაფერი მაშინ უნდა გაგვერკვია, როცა ბიუჯეტს ვამტკიცებდით და მხარს ვუჭერდით და არა დღეს. ახლა კი, როცა ბიუჯეტი დამტკიცებულია, ვმსჯელობთ ამოვიღოთ ეს თანხა თუ დავტოვოთ რელიგიის მუხლში.

ზაალ მამალაძე- ოფიციალურად ეს თანხა დევს რელიგიის მუხლში, შეგიძლიათ გადაამოწმოთ საკანონმდებლო მაცნეში. სანამ ჩვენ ოფიციალურ გადაწყვეტილებას არ მივიღებთ, მანამდე არაფერი არ შეიცვლება, მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილება რომ იყოს მართებული, ამიტომ ეს მუშა პროცესი უფრო დაარეგულირებს სიტუაციას, რომ ეს 20,0 ათასი ლარი რისთვის ჭირდებათ, რომ კონკრეტულად იქნეს განსაზღვრული თუ სად და რომელ მუხლში ჩაიდება.

ჩემი თხოვნა იქნება, რომ ერთი კვირის განმავლობაში წინადადებები იქნეს მოწოდებული საკრებულოში ყველა კომისიიდან და ფრაქციიდან.

ირაკლი ახობაძე- გაზეთ ,,გურია NEWS-ის“ 2017 წლის 30 იანვრის სტატიას გაგაცნობთ სათაურით- ,,ვისი ვალი აქვს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს“. აქ წერია, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტს 22,0 ათასი ლარი აქვს დავალიანება საავადმყოფოების და აფთიაქების მიმართ - ამბობს საფინანსო სამსახურის უფროსი მაია გოგოლაძე. ჩვენ ამ ინფორმაციას გაზეთის საშუალებით ვგებულობთ.

მადლობა „გურია ნიუსს“, რომ ასე კარგად მუშაობს. რომ არა „გურია ნიუსი“, მე, დეპუტატი ვერ გავიგებდი, რომ ამდენი ვალი გვქონდა ბიუჯეტში. დღეს წარმოდგენილია ბიუჯეტის ცვლილება. მე მაინტერესებს, სად არის ასახული ეს აღიარებული ვალი ამ ბიუჯეტის ცვლილებაში?

მაია გოგოლაძემ უპასუხა, რომ ეს ცვლილება, შეიძლება, საბიუჯეტო წლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე აისახოს ბიუჯეტში.

ირაკლი ახობაძე- ვალი გვაქვს და ბოლოს ავსახოთ? როგორ ვისტუმრებთ ვალს? წლის ბოლოს ვაძლევთ?

მაია გოგოლაძე- ვალის გასტუმრება საკასო მეთოდით მოხდება. შეგვიძლია თანხა დავხარჯოთ და შემდეგ ავსახოთ.

ირაკლი ახობაძე- გაზეთ ,,გურია ნიუსის“ 2017 წლის 23 იანვრის სტატიას მინდა შევეხო, სადაც გაზეთში გამოქვეყნებულ ინტერვიუში მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი კუჭავა ადასტურებს, რომ გასულ წელს გადახარჯვას ჰქონდა ადგილი. დაგეგმილ ბიუჯეტზე 90,0 ათასი ლარის გადახარჯვა ეს არის საბიუჯეტო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნების დარღვევა. ანუ გამგებელი პირდაპირ აღიარებს, რომ საბიუჯეტო კოდექსი დაარღვია და საინტერესოა, ამ შემთხვევაში რას აკეთებს საკრებულო. 5 პროცენტზე მეტის გადახარჯვა არ შეიძლება და დახარჯული აქვს 40 პროცენტზე მეტი. გამგებელმა კანონი დაარღვია და ამაზე პასუხი უნდა მოვთხოვოთ.

აკაკი ყაჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტი არის ცოცხალი მექანიზმი. შეიძლება დღეს დაამტკიცო და ხვალ მოხდეს ცვლილებების შეტანა. რაა აქ გასაოცარი?!

ვლადიმერ სიხარულიძე- ვალი არა 22,0 ათასი ლარი, არამედ 29,0 ათასი ლარია და ეს 2017 წლის ბიუჯეტში ასახულია კიდეც. მე არ ვიცი, გამგებელმა რა თქვა, მაგრამ 29 დეკემბერს დავაზუსტეთ ბიუჯეტი და იქ დეტალურად არის აღწერილი ყველაფერი.

ირაკლი ახობაძე- თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში 06.02.07 კოდში არ ჩანს 8,0 ათასი ლარი. ე.ი. სოციალურ პროგრამებში თქვენ დაამატეთ 10,0 ათასი ლარი, სადაც დამატებიდან ამ ცვლილებაში 8,0 ათასი ლარი არ ჩანს. მაინტერესებს, რატომ? ასევე, მე-9 მუხლში არ ჩანს 15,0 ათასი ლარი. დოკუმენტში ციფრები არ არის დაზუსტებული და ასეთი დოკუმენტი ადმინისტრაციულ წარმოებაზე არ უნდა დავაყენოთ.

განმარტებით ბარათში თქვენ ამბობთ, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის 39-ე განკარგულებით 13, 900 ლარი მორჩა. მაინტერესებს, სად ავსახეთ ეს თანხა?

მაია გოგოლაძე- გადავამოწმებ და მოგახსენებთ. რაც შეეხება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის 39-ე განკარგულებით მორჩენილ 13,900 ლარს, ეს თანხა საპროექტო დოკუმენტებში ავსახეთ.

გაზეთ ,,გურია ნიუსის“ კორესპოდენტი ნატო გოგელია-

მაქვს შეკითხვა როგორც ფრაქცია ,,ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარესთან, ასევე გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსთან მაია გოგოლაძესთან.

ბატონო ზვიად, ჩვენს პუბლიკაციაზე ,,ფეისბუქ“ გვერდზე საჯაროდ გაავრცელეთ სტატუსი, სადაც თქვენ წერთ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

არასოდეს დაუჭერს მხარს მსგავს არასწორ გადაწყვეტილებას, (იგულისხმება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შემოქმედის ეპარქიის დაფინანსების შეწყვეტა). ასევე ბატონი ზვიადი წერს და ადანაშაულებს ,,გურია ნიუსს", რომ ჩვენ გავავრცელეთ არასწორი ინფორმაცია, ციტირებას ვახდენ: ,,რაც შეეხება არასწორ ხარჯვას ადგილი არ ქონია".

როცა თქვენ ამბობთ, რომ არასწორ ხარჯვას ადგილი არ ქონია, ჩვენ ხელთ გვაქვს ოფიციალურად გამოთხოვილი დოკუმენტები, გვაქვს გამგებლის წერილი, სადაც გამგებელი წერს: ,,2016 წლის ნაწილი დოკუმენტაციის, მოგვაწოდეს თუ რაში დაიხარჯა თანხა. ჩვენთან ხარჯების დოკუმენტაცია არ ინახება. თქვენი წერილის შემდეგ ვთხოვეთ ეპარქიას დოკუმენტაციის მოწოდება, მაგრამ მხოლოდ ნაწილი წარმოგვიდგინეს" - ესაა ბატონი ირაკლი კუჭავას წერილი.

მეუფე იოსებმა (კიკვაძე) სამრევლო სკოლას გადაურიცხა თანხა. რა თანხა, რისთვის, როგორ, ეს არ არის ცნობილი. დოკუმენტი გამგეობას არ აქვს. ასევე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2013- 2016 წლის განხილვაში 15,450 ათასი ლარი აქვს მიღებული. რაც შეეხება სოციალურად დაუცველთათვის პურის შესაძენ თანხას, რომელსაც ურიცხავდა გამგეობა, თუმცა არც ამის დოკუმენტაცია არ არსებობდა. კითხვა არის შემდეგი: როდესაც ჩვენ ოფიციალურ წერილზე გამგებელი გვწერს, რომ დოკუმენტაცია არ აქვს იმიტომ, რომ ეპარქიამ არ მიაწოდა ან ვერ მიაწოდა.

როდესაც თქვენ, საჯარო სტატუსში გვადანაშაულებთ, რომ არასწორ ხარჯვას ადგილი არ ქონია და თქვენ გაავრცელეთ არასწორი ინფორმაციაო, აქ არის სამი მხარე და სამიდან ერთია მტყუანი. თუ თქვენ გაქვთ დოკუმენტაცია, გთხოვთ წარმოგვიდგინოთ და თუ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი იტყუება და არასწორ ინფორმაციას ავრცელებს წერილებში გთხოვთ დაგვიდასტუროთ, ან თქვენ გაავრცელეთ არასწორი ინფორმაცია, რადგან ჩვენ გამგებლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას დავეყრდენით. მაინტერესებს, გაქვთ თუ არა თქვენ დოკუმენტაცია, თუ რაში დახარჯა შემოქმედის ეპარქიამ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული თანხა.

დაგვიდასტურეთ, რომ გამგებელი იტყუება და არასწორ ინფორმაციას გვაწვდის ან გვითხარით, რომ თქვენი ინფორმაცია არასწორია.

ზვიადი მამალაძე- მე არავინ არ დამიდანაშაულებია და არც ვაპირებ მსგავს რამეს. ჩემს მიმართვაში იყო ორი საკითხი გამოყოფილი. თქვენ წერდით, რომ ,, ჩოხატაური უკვე მეორე მუნიციპალიტეტია ოზურგეთის შემდეგ, რომელმაც შემოქმედის ეპარქიას

დაფინანსება შეუწყვიტა“. მე ვთქვი უბრალოდ სიმართლე- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს დაფინანსება ეპარქიისთვის არ შეუწყვეტია ეს ერთი და ეს მართლაც ასეა. საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შეგვიძლია შევიდეთ საკანონმდებლო მაცნეში და გადავამოწმოთ ამ ინფორმაციის სისწორე, სადაც, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს ბიუჯეტში უდევს 20,0 ათასი ლარი ეპარქიის დაფინანსებაზე. მეორე საკითხს რაც შეეხება- დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, მე გითხარით, რომ იმიტომ გადავწყვიტეთ შექმნილიყო შესაბამისი ჯგუფი, რომ ყველა დოკუმენტი ყოფილიყო წარმოდგენილი და შეთანხმებული.

ნატო გოგელია: საფინანსო სამსახურის უფროსთან მაქვს შეკითხვა- გვაქვს თუ არა დოკუმენტაცია და შეუწყვიტა თუ არა დაფინანსება ეპარქიას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა?

მაია გოგოლაძემ უპასუხა, რომ არ იყო დოკუმენტაცია და ამიტომ შევუწყვიტეთ დაფინანსება ეპარქიას 20, 0 ათასი ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 19

წინააღმდეგი _ 1 (ი.ახობაძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

VII საკითხი: ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u> **ვლადიმერ სიხარულიძემ** აღნიშნა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ბახმაროს სტატუსის არარსებობაა. ბახმაროს კურორტს ჩვენ ვუწოდებთ, თუმცა, იურიდიულად ასე არაა. შესაბამისად, ჩვენი მიზანია, ბახმარომ ეს მნიშვნელოვანი სტატუსი

მიიღოს.

ზაალ მამალაძემ აღნიშნა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დოკუმენტის დამტკიცება ბახმაროსთვის სტატუსის მინიჭების საფუძველი უნდა გახდეს.

დიმიტრი კორიფაძემ აღნიშნა, რომ შარშანდელი ლეგალიზაციის კომისიიდან დამტკიცებული მიწები აქ არის თუ არა შესული?

გოგი ბოლქვაძემ უპასუხა: რეესტრში რეგისტრირებული მიწა, რომელსაც მინიჭებული აქვს საკადასტრო კოდი, ყველა მიწა შესულია აქ. როცა დარეგისტრირდება სამომავლოდ მიწები, შემდეგ შევა ცვლილების სახით. ინფორმაცია დარეგისტრირებული მიწების შესახებ ამოღებულია იუსტიციის სამინისტროდან.

საკრებულოს წევრების გადაწყვეტილებით, კენჭი ეყარა განკარგულების პროექტში საკანალიზაციო სისტემის ქსელის მოწყობის გეგმის დამატებას.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი _0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი)

მოისმინეს: ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი _0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ.

VIII საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: გოგი ბოლქვაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მარინე ბერაძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ, დიმიტრი კორიფაძემ,

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი _0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

IX საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

აზრი გამოთქვა: დავით ტყეშელიაძემ, ოთარი სოროზანიშვილმა, თემური ხუხუნაიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი _0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

X საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2016 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2016 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით ტყეშელიაძემ, მამია ბარამიძემ, დიმიტრი კორიფაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი _0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2016 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა